2025–2026 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელების ერთიანი ანალიზი

(საგნობრივი ჯგუფების სიღრმისეული ანალიზი და სასკოლო სინთეზი)

მეთოდოლოგია: ანალიზი ეფუძნება ხუთი დამოუკიდებელი წყაროს შეჯერებას, ესენია: კურიკულუმის დიზაინი (განზრახვა), „სქულბუქის“ წარმოების პროცესი (ფაქტი), მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დაწერილი და სქულბუქში აღრიცხული ნიშანი/ქულა, სქულბუქში წარმოებული კომენტარები (ჯამში 25 717 ჩანაწერი ყველა საგნის და კლასის ჭრილში) და გამოკითხვების შედეგები (აღქმა).

ვინაიდან მიმდინარე წელს ცნებითი გააზრების ზუსტი მონაცემები (1-5 სკალით) არ შეგროვებულა, ცნებით სიღრმეზე მსჯელობა ირიბად, დიზაინის ხარისხისა და სამუშაო პროცესის კვალის შეჯერებით ხორციელდება.

ანალიზის ერთი მთავარი, გამჭოლი ასპექტი, რომელიც წინასწარ უნდა აღინიშნოს, არის შეფასების (განმსაზღველი ნიშნის) „ჭერი“, ე.ი. მაქსიმალური ზღვარი. თითქმის ყველგან დომინანტური ნიშანია 10. თუმცა იქ, სადაც ეს მაჩვენებელი „მცირდება“, ანუ ჩნდება დაბალი და საშუალო ნიშნებიც, ეს ან აკადემიურ სისუსტეზე, ან <u>უფრო რეალურ, ცნების გააზრებაზე მიმართულ შეფასებაზე მიუთითებს.</u>

ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ ტექსტში ნიშნის მაქსიმალური ზღვრის დაწევა დადებით სიგნალად უნდა აღვიქვათ.

<u>ანგარიშის ტონი კონსტრუქციულია: „რედიზაინის“ პრინციპის თანახმად, გამოვლენილი სისუსტეები საერთო სისტემური ხასიათისაა და არა პერსონალური.</u>

ნაწილი I - საგნობრივი ჯგუფების ანალიზი

1. სახელმწიფო ენა (ქართული ენა, მსოფლიო ლიტერატურა)

- **დაწყებითი საფეხური:** კურიკულუმი სრულყოფილია, ქართული ენის პროგრამა კი - ეტაპობრივად დაპროექტებული. ამ მიმართულებით ვხვდებით სკოლაში დაგეგმილი პროცესის განხორციელების ყველაზე თვალსაჩინო კვალს - 3 465 კომენტარსა და 1 992 ჩანაწერს „სქულბუქში“, რაც არ ატარებს ფორმალურ ხასიათს; ეს არის ცოცხალი, ყოველდღიური უკუკავშირი. შეფასების მაჩვენებელი (მე-5 და მე-6 კლასები) მაღალია (86% იმყოფება 8-10 ქულის დიაპაზონში), რაც ცნებით სიღრმეზე ბევრს არაფერს გვეუბნება, თუმცა პროცესის აქტიურად მიმდინარეობა უდავოა.
- **საბაზო და საშუალო საფეხურები:** ქართული ენისა და მსოფლიო ლიტერატურის პროგრამები ეტაპობრივადაა გაწერილი. საგნები ქართული ენა და ლიტერატურა (VIII

და XI კლასები) და მსოფლიო ლიტერატურა (VII-XII კლასები) სკოლის შიდა ეტალონს წარმოადგენს, სადაც მკაფიოდ იკვეთება ლოგიკა, საგნებში არსებული თემატური საკვანძო შეკითხვები და ცნებათა გააზრებისკენ მიმართული დავალებები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით (უმრავლეს კლასებში) „სქულბუქის“ წარმოების, ანუ სასწავლო პროცესის მართვის, გამორჩეულად მაღალი სტანდარტი. ჟურნალში დეტალურად, სიღრმისეულად და თანმიმდევრულად არის აღწერილი განხორციელებული პროცესები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასში ნათლად ჩანს რეალური აკადემიური დიალოგი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის - დავალებების პირობები, მიმდინარე აქტივობები და რესურსები ისეა სისტემატიზებული და ატვირთული, რომ სასწავლო პროცესის სრულფასოვან, ცოცხალ სურათს გვაძლევს. თუმცა აღვნიშნავთ, რომ მე-7 კლასის ქართული ენის პროგრამის სიღრმისეულმა ანალიზმა გამოკვეთა მთავარი ხარვეზი: მიუხედავად ძლიერი თემატიკისა და დავალებებისა, შეფასების კრიტერიუმები ცნების გააზრების დონეებზე არ იყო მიბმული. საშუალო საფეხურზე კი კომენტარების რაოდენობა მკვეთრად მცირდება - სავარაუდოდ, სააბიტურიენტო წნეხის გამო (მაღალი შეფასებების წილი 89%-ს შეადგენს).

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** ამ ჯგუფს გააჩნია როგორც მუშა მოდელი, ისე შესაბამისი კულტურა. გადასადგმელია მხოლოდ ერთი მთავარი ნაბიჯი: შეფასების კრიტერიუმების აგება ცნების გააზრების დონეების მიხედვით (ცალკეული რუბრიკა თითოეული ცნებისთვის). სხვა დანარჩენი კომპონენტი - თემატიკა, დავალებები და ჩართულობა - უკვე ეფექტურად მუშაობს.

2. მათემატიკა

- ამ მიმართულებით იკვეთება ერთი გამორჩეული, დადებითი პატერნი: შინაარსის (კონტენტის) გართულებასთან ერთად მცირდება მაღალი ნიშნების ზღვარი. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე 8-10 ქულიანი შეფასება 96%-ია (თითქმის მაქსიმალური დონე), საბაზოში - 82%, საშუალოში კი - 73%. ეს ნიშნავს, რომ საშუალო საფეხურის მათემატიკის ქულა გაცილებით ახლოსაა მოსწავლის მიერ მასალის რეალურ გააზრებასთან, რადგან ის უკვე მკაფიოდ მიჯნავს მოსწავლეთა მიღწევის დონეებს. დაწყებითი საფეხურის მათემატიკაში დაწერილი კომენტარების რაოდენობა დიდია (2 683). ზედა საფეხურებზე კომენტარების რიცხვი მკვეთრად იკლებს (428-დან 143-მდე).

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** საშუალო საფეხურის ობიექტური და გამმიჯნავი შეფასების ლოგიკა დაწყებით საფეხურზეც უნდა დაინერგოს. ამ საფეხურზე არსებული მაღალი ნიშნის 96%-იანი ზღვარი შეფასების კრიტერიუმების სირბილეზე მიუთითებს და არა იმაზე, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირი სიღრმით იაზრებს საკითხს. თუმცა ამასთანავე, დაწყებითი საფეხურის „სქულბუქის“ წარმოებისა და კომენტარების ხარისხობრივი სტანდარტი საბაზო და საშუალო საფეხურზეც უნდა დაინერგოს.

3. უცხოური ენები (ინგლისური და რუსული ენები)

- სამივე საფეხურზე ორივე ენის სწავლება ეტაპობრივად, საფეხურების შესაბამისი დონით ვითარდება. მაღალი შეფასებების წილი 75-94%-ის ფარგლებშია, თუმცა შეიმჩნევა დაბალი ნიშნების რეალური მაჩვენებელიც (5-7% დაწყებით და საბაზო საფეხურებზე), რაც ნიშნების საშუალოზე მაღალ, ფართო სპექტრზე მეტყველებს. დაწყებითი საფეხურის კომენტარების ბაზა ყველაზე მდიდარია მთელ სკოლაში (4 006 კომენტარი). ამ მიმართულებით იკვეთება ერთი ფრთხილად გასაანალიზებელი დისონანსი: შიდა სასკოლო შეფასებები მაღალია, თუმცა გამოკითხვების მიხედვით, მშობლები ინგლისური ენის სწავლების ხარისხს გამოწვევად ასახელებენ. ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე წყაროს მონაცემი მცდარია; პირიქით, ეს მიუთითებს, რომ შიდა შეფასება და გარე აღქმა განსხვავებულ ასპექტებს ზომავს. შესაბამისად, აუცილებელია გაანალიზდეს, რას ასახავს რეალურად მიღებული ნიშანი და რა მოლოდინები აქვთ მშობლებს სასწავლო პროცესისა და შედეგების მიმართ.

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** გრამატიკის ტექსტურ კონტექსტში ინტეგრირება (რაც სკოლის ფუნდამენტური პრინციპია) და შეფასების კრიტერიუმების ცნებებთან დაკავშირება. ასევე, აუცილებელია შიდა შეფასებებსა და გარე აღქმას შორის არსებული სხვაობის ღია განხილვა.

4. საზოგადოებრივი მეცნიერებები

- ეს არის საგნობრივი ჯგუფი, სადაც სკოლის ცნებებზე დაფუძნებული ხედვა ყველაზე წარმატებით რეალიზდა. საბაზო საფეხურზე ოთხივე საგანი (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, იდეები და ღირებულებები) ეტაპობრივადაა დაპროექტებული, დავალებათა ბაზა მდიდარია და, რაც მთავარია, მაღალი შეფასებების პროცენტული წილი ყველაზე ლოგიკური ანუ დაბალია (69%). სწორედ ეს არის ამ ჯგუფის მთავარი ღირსება: აქ დაწერილი ნიშანი ყველაზე დიფერენცირებული და ინფორმაციულია მთელ სკოლაში. გამოკითხვის შედეგად, მოსწავლეებმაც თავიანთ ძლიერ საგნებად „იდეები და ღირებულებები“ და სამოქალაქო განათლება დაასახელეს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საგანი „იდეები და ღირებულებები“, სადაც ფიქსირდება „სქულბუქის“ წარმოების უმაღლესი სტანდარტი - მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ცოცხალი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დიალოგითა და რესურსების მიზნობრივი გამოყენებით. დამატებით, ამ საგნებში იკვეთება საგნობრივი ინტეგრაციის (ბუნებრივი კვეთის) საუკეთესო შესაძლებლობა, რადგან ისინი დამოუკიდებლად მუშაობდნენ ერთსა და იმავე ცნებებზე.

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** კონკრეტულ ჯგუფში (მე-7 კლასი) უნდა დაიწყოს საგნების ინტეგრაციის მატრიცის პილოტირება ორგანულობის ფილტრის გამოყენებით. რაც შეეხება **ისტორიას**, აქ კონტენტის მოცულობა საკმაოდ დიდია, რის გამოც მასწავლებელს უწევს მუდმივი ლავირება. ამიტომ, რედიზაინის უმთავრესი ამოცანაა, მომდევნო სასწავლო წლისთვის ზუსტად განისაზღვროს იმ საკვანძო საკითხთა სპექტრი, რაზეც მოხდება ფოკუსირება. **მთავარი მიზანია, „უზრუნველვყოთ სიღრმე**

ნაცვლად რაოდენობისა“, რაც თავად კონცეპტუალური პედაგოგიკის ფუნდამენტური არსია.

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- საბაზო და საშუალო საფეხურებზე ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის პროგრამები ეტაპობრივია. საბაზო საფეხურზე მაღალი ნიშნების წილი 70%-ს შეადგენს (ხოლო დაბალი შეფასებისა - 6%-ს), რაც საზოგადოებრივი მეცნიერებების შემდეგ ყველაზე დიფერენცირებული მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ როგორც საბაზო, ისე საშუალო საფეხურზე, ქიმია და ბიოლოგია მოსწავლეთათვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და მაღალშედეგიანი საგნების რიგს მიეკუთვნება, რაც პროცესის სწორად დაგეგმვასა და მოსწავლეთა შინაგან მოტივაციაზე მიუთითებს, გამოკითხვებში მოსწავლეებმა ქიმია ერთ-ერთ ძლიერ საგნად დაასახელეს. (შენიშვნა: ამჟამად ქიმიის სწავლება მეშვიდე კლასიდან იწყება, შესაბამისად, საათობრივი ბადის ცვლილება გასათვალისწინებელია).

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** საბაზო საფეხურზე ნიშნების ჯანსაღი, ობიექტური გადანაწილება (70%-იანი მაჩვენებელი) უნდა შენარჩუნდეს, რადგან ის კარგად მიჯნავს მოსწავლეთა მიერ ცნებების გააზრების დონეებს. შეფასების კრიტერიუმების ცნებებთან დაკავშირება აქაც პრიორიტეტულია, თუმცა საწყისი მდგომარეობა საკმაოდ ადეკვატურია.

6. ტექნოლოგიები (კომპიუტერული ტექნოლოგიები)

- ეს არის პრეცედენტის - „შეფასება კურიკულუმის გარეშე“ - ყველაზე მკაფიო მაგალითი. საგანი დაწყებით საფეხურზე ისწავლებოდა და ფასდებოდა (მაქსიმალური შეფასებების წილი 92%-ს შეადგენს), თუმცა სტანდარტულ კურიკულუმთან ერთად არ ხორციელდებოდა არც „სქულბუქის“ წარმოება. შესაბამისად, შეფასებები ფიქსირდებოდა, მაგრამ მათ საფუძვლად არ იდგა წინასწარ განსაზღვრული ცნებითი ჩარჩო.

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** კურიკულუმი ნულიდან უნდა შეიქმნას და ის ცნებით ბირთვს უნდა დაეფუძნოს. ეს არ წარმოადგენს უბრალოდ ხარვეზის აღმოჩენას, არამედ ეს არის სტრუქტურული ვაკუუმი, რომელიც აუცილებლად უნდა შეივსოს.

7. ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი ხელოვნება)

- დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ესთეტიკური აღზრდის საგანთა კურიკულუმი ეტაპობრივია, თუმცა საგანში მუსიკა ნაკლებად ხერხდებოდა „სქულბუქის“ წარმოება. სახვითი ხელოვნების მიმართულებით, საბაზო საფეხურსა და დაწყებითი საფეხურის რამდენიმე კლასში აშკარად იკვეთება დადებითი ტენდენცია ღრმა სწავლების უზრუნველყოფისა და ცნებებზე ორიენტირების კუთხით. საინტერესოა ისიც, რომ მოსწავლეებმა მუსიკა ერთ-ერთ საყვარელ საგნად დაასახელეს. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეთა მხრიდან საგნის აღქმა პოზიტიურია, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის ფაქტობრივი კვალი დოკუმენტურად ყოველთვის არ დასტურდება.

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** საქმე გვაქვს „უხილავი განხორციელების“ შემთხვევასთან, როდესაც მიმდინარეობს კარგი პროცესი, თუმცა ის ფორმალურად, დოკუმენტურად არ ფიქსირდება. საჭიროა ჟურნალის წარმოების მინიმალური, გამარტივებული სტანდარტის შემოღება. ასევე, ხელოვნების მიმართულებით მნიშვნელოვანია სკაფოლდინგის (ხარაჩოს) სისტემის უკეთ დანერგვა - აუცილებელია, მასწავლებელმა უფრო ზუსტად განსაზღვროს მოსწავლის „განვითარების უახლოესი ზონა“, რათა თითოეულ ბავშვს რეალურ შესაძლებლობებზე მორგებული მხარდაჭერა აღმოუჩინოს. გარდა ამისა, მისაღებია გადაწყვეტილება საშუალო საფეხურზე ამ საგნების პროექტებით სწავლების შესახებ.

8. სპორტი (სპორტი, ჭადრაკი)

- სპორტის საგანში კურიკულუმის ჩარჩო არსებობს, თუმცა „სქულბუქის“ წარმოება და კომენტარების ასახვის პრაქტიკა არ ხასიათდებოდა მეთოდურობით, თანმიმდევრულობითა და სისტემურობით. ამასთანავე, I-IV კლასების ჭადრაკის პროგრამა სრულად არ არის წარმოდგენილი. ვინაიდან სპორტის საგანში ტრადიციული ქულობრივი შეფასება (ნიშანი) არ გამოიყენება, სასწავლო პროცესის მტკიცებულებითი კვალისა და სისტემატური კომენტარების სიმწირის პირობებში ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად იზღუდება მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების დონისა და შესაბამისი ცნებების გააზრების ხარისხის ობიექტური შეფასების შესაძლებლობა.

- **რედიზაინის ჰიპოთეზა:** სპორტის მიმართულებით აუცილებელია სასწავლო პროცესის ფიქსაციისა და „სქულბუქის“ წარმოების სისტემური, მეთოდური სტანდარტის დანერგვა (ხოლო ჭადრაკის კურიკულუმი უნდა შეიქმნას ნულიდან). ვინაიდან საგანში ნიშანი არ იწერება, პროცესის შეფასება და განმავითარებელი კომენტარები უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული, რათა რეალურად ისახოს მოსწავლეთა პროგრესი და ცნებითი გააზრების დინამიკა.

ნაწილი II - სასკოლო სინთეზი

ქვემოთ წარმოდგენილი მიგნებები ატარებს სისტემურ, გამჭოლ ხასიათს და მათი დანახვა მხოლოდ ცალკეული საგნობრივი ჯგუფების დონეზე შეუძლებელი იქნებოდა.

მიგნება 1 - მაღალი ნიშნების დიდი რაოდენობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლემ საკითხი ღრმად გაიაზრა. ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება შეფასების კრიტერიუმების თავისებურებით იყოს გამოწვეული და არა მოსწავლეთა რეალური მიღწევებით.

მიგნება: ნიშნის მაქსიმალური ზღვარი საყოველთაოა, თუმცა ის სისტემურად იშლება/იცვლება და ნაწილდება იქ, სადაც შინაარსი უფრო რთულია და სასწავლო დიზაინიც უკეთესადაა აგებული. მაგალითად: საზოგადოებრივი მეცნიერებები საბაზო საფეხურზე (69%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბაზო საფეხურზე (70%) იქ, სადაც შეფასების სისტემას მიეცემა დიფერენცირების საშუალება, ის წარმატებით ასრულებს თავის ფუნქციას.

- **წყარო:** ხუთი საგნობრივი ჯგუფის შეფასებათა განაწილება საფეხურების ჭრილში.

- **ჰიპოთეზა ფორუმისთვის:** შეფასების მაქსიმალური ზღვარი („ჭერი“) არა მოსწავლის აკადემიურ სისუსტეს, არასრულყოფილებას, არამედ შეფასების კრიტერიუმების *მეტად ლიბერალურ და ნაკლებად სელექციურ ხასიათზე მიუთითებს.* ეს ტენდენცია გარკვეულწილად პოზიტიურიცაა, რადგან პრობლემა კურიკულუმის დიზაინის ცვლილებით გვარდება და არა მოსწავლეთა შეფასებების ხელოვნური „ამაღლებით“. შეფასების რუბრიკების რედიზაინი პირველხარისხოვანი პრიორიტეტია.

მიგნება 2 - ცნებებზე დაფუძნებული ხედვა ყველაზე მეტად საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საბაზო საფეხურზეა რეალიზებული (სიღრმის ანომალია)

- **მიგნება:** სასწავლო დიზაინის სიღრმე, დავალებების ხარისხი და ინფორმაციული ნიშანი საბაზო საფეხურზე სწორედ ამ ორ საგნობრივ ჯგუფში იყრის თავს. ეს არის სკოლის „ძირითადი ბირთვი“, საიდანაც აღნიშნული მოდელი სხვა საგნებზეც უნდა გავრცელდეს.

- **წყარო:** სტრუქტურული სკანირება, ნიშნების განაწილება და დავალებების მოცულობა.

- **ჰიპოთეზა ფორუმისთვის:** სასურველია, ამ ჯგუფების წამყვანმა პედაგოგებმა კათედრას გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ ააგეს სასწავლო პროცესი. არსებული წარმატებული შიდა გამოცდილების გაზიარებით რედიზაინის პროცესი ბევრად უფრო სწრაფად წარიმართება, ვიდრე ახალი სისტემის ნულიდან შენებისას.

მიგნება 3 - დაგეგმვა და განხორციელება ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს (ელემენტის მეტა-პატერნი)

- **მიგნება:** ერთ პატერნში ორი განსხვავებული ხარვეზი იკვეთება:

  - ❖ ა) გეოგრაფიაში კურიკულუმის ჩარჩო საკმაოდ მდიდარია, თუმცა „სქულბუქის“ კვალი - მწირი; ანუ, კარგი დაგეგმარება ფაქტობრივ ჟურნალში ბოლომდე არ აისახებოდა.

  - ❖ ბ) მუსიკაში „სქულბუქი“ საერთოდ არ იწარმოებოდა; მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მიმდინარეობდა (და მოსწავლეებმაც მუსიკა ძლიერ საგნად დაასახელეს), სასწავლო პროცესის ფაქტობრივი კვალი სრულად აკლია. ეს ერთი და იმავე ძირეული პრობლემის ორი გამოვლინებაა: წინასწარ დაგეგმილი ჩარჩო და ფაქტობრივი ჟურნალი თანმიმდევრულად არ მიჰყვება ერთმანეთს. ამავე ძირეული პრობლემიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი, უფრო ფართო პატერნი: „სქულბუქის“ კვალი სისტემურად აკლია არა მხოლოდ გეოგრაფიასა და მუსიკას, არამედ საგანთა მთელ კატეგორიას. ეს ნიშნავს, რომ პრობლემა არა შემთხვევითი, არამედ თანმიმდევრულ, მყარ სამუშო ორგანიზებასთანაა დაკავშირებული. აუცილებელია ამ მასწავლებლებზე მორგებული, შესაბამისი გზამკვლევების შექმნა, მათი მეტი მხარდაჭერა.

- **წყარო:** ფაქტისა და განზრახვის თანაფარდობა - კურიკულუმის მოცულობის შედარება „სქულბუქის“ ჩანაწერებთან, კონკრეტულად გეოგრაფიისა და მუსიკის მაგალითებზე.

- **ჰიპოთეზა ფორუმისთვის:** „სქულბუქის“ წარმოება არ წარმოადგენს ზედმეტ ბიუროკრატიას - ის არის ერთადერთი ფაქტობრივი წყარო, რომელიც სუბიექტურ შეფასებებს მყარ საფუძველს უქმნის. სასურველია, მოხდეს შეთანხმება საგნის ტიპზე მორგებულ, მინიმალურ სტანდარტზე, რათა მომავალ წელს ე. წ. შეჯერების პროცესი სრულყოფილი იყოს ორივე მიმართულებით: რა დაიგეგმა და რა აისახა ფაქტობრივად.

მიგნება 4 - ინსტიტუციური სიგნალები, რომლებიც პედაგოგიკას სცდება (ინსტიტუციური გავლენა)

- **მიგნება:** იკვეთება ორი ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუციური სიგნალი. პირველი - განმავითარებელი შეფასების კულტურა და მხარდაჭერა დაწყებითი საფეხურიდან ზედა საფეხურებისკენ თანდათან მცირდება. მკვეთრად იკლებს კომენტარების მოცულობა (მაგალითად, უცხო ენებში მაჩვენებელი 3 465-დან 376-მდე ეცემა) და ამავე მიმართულებით მცირდება სადამრიგებლო მუშაობის ეფექტურობის აღქმაც (მშობელთა შეფასებით: დაწყებით საფეხურზე - 81%, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურებზე - 56%). მეორე - გამოკითხვები მიუთითებს რამდენიმე თანმიმდევრულ, არაპედაგოგიურ საჭიროებაზე. მათ შორისაა საკადრო სტაბილურობა (რაც წარმოადგენს როგორც მშობლების მთავარ საზრუნავს ორივე საფეხურზე, ისე მასწავლებელთათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას) და ბიბლიოთეკის რესურსები (მასწავლებელთა შეფასებით - 64%).

- **წყარო:** კომენტარების მოცულობა საფეხურების ჭრილში; მშობელთა კრება/გამოკითხვა (დაწყებითი საფეხური - 87%, საბაზო-საშუალო - 79%); მასწავლებელთა გამოკითხვა (88).

- **ჰიპოთეზა ფორუმისთვის:** აღნიშნული მიგნებები მხოლოდ კურიკულუმის რედიზაინით ვერ მოგვარდება - ისინი მოითხოვს სათანადო რეაგირებას რესურსების მართვის და სასკოლო პოლიტიკის დონეზე. განსაკუთრებულ, ინსტიტუციურ განხილვას საჭიროებს საფეხურებრივი მხარდაჭერის კლების ტენდენცია (81%-დან 56%-მდე) და საკადრო სტაბილურობის საკითხი.

მიგნება 5 - საზოგადოებრივი მეცნიერებების ბუნებრივი კვეთა

- **მიგნება:** ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება და „იდეები და ღირებულებები“ დამოუკიდებლად მუშაობდნენ საერთო ცნებებზე (საზოგადოება, ძალაუფლება, დემოკრატია). შესაბამისი ცნებითი საფუძველი უკვე არსებობდა, თუმცა საგნობრივი კვეთა ორგანიზებული არ ყოფილა.

- **წყარო:** ცნებათა სტრუქტურა და აღნიშნული საგნობრივი ჯგუფის თემატური რუკა.

- **ჰიპოთეზა ფორუმისთვის:** მე-7 კლასის საზოგადოებრივი მეცნიერებები საგნების ინტეგრაციის ყველაზე ბუნებრივი, პირველადი წერტილია - აქ შესაძლებელია

საგნების გამთლიანების მატრიცის პილოტირება ყოველგვარი ხელოვნური ძალდატანების გარეშე.

მიგნება 6 - სტრუქტურული ცარიელი ადგილები (ცნებითი ხარვეზი)

- **მიგნება:** ტექნოლოგიების და ჭადრაკის სწავლება, ასევე მეთორმეტე კლასის საგნების უმრავლესობა, კურიკულუმის გარეშე მიმდინარეობს. ცალკე აღნიშვნის ღირსია „შეფასება კურიკულუმის გარეშე“ (ტექნოლოგიები) და დისონანსი შიდა სასკოლო ნიშანსა და მშობლის აღქმას შორის (ინგლისური ენა, მათემატიკა).
- **წყარო:** ფაქტობრივი მონაცემები (არსებობის ფენა) და გამოკითხვები.
- **ჰიპოთეზა ფორუმისთვის:** აღნიშნული სტრუქტურული ვაკუუმი კურიკულუმის რედიზაინს კი არა, მათ პირველად, ნულიდან შექმნას მოითხოვს. მეთორმეტე კლასი კი ცალკე, განსაკუთრებულ სამიზნე ყურადღებას საჭიროებს.

მიგნება 7 - მოსწავლის კუთვნილების განცდა სკოლის მიმართ ყველაზე სუსტი რგოლია (ინსტიტუციური/ღირებულებითი)

- **მიგნება:** ყველა კლასში დაფიქსირდა მოსწავლეთა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დებულებაზე: „სკოლა დადებით განცდას მიქმნის“ (64.8). გამოკითხულთა 55%-მა აღნიშნა სტერეოტიპული დამოკიდებულებების არსებობა, ხოლო 32%-მა - დისკრიმინაციის აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური მაჩვენებლები მაღალია, მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური კუთვნილების განცდა სკოლის მიმართ შესამჩნევად ჩამორჩება.
- **წყარო:** მოსწავლეთა გამოკითხვა (71 რესპონდენტი).
- **ჰიპოთეზა ფორუმისთვის:** ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება სკოლის ღირებულებით ბირთვს და ცალკე, ფრთხილ განხილვას საჭიროებს - არა როგორც ბრალდება, არამედ როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის გაუმჯობესებაც აუცილებელია.

რედიზაინის სამი მთავარი პრიორიტეტი

1. **შეფასების კრიტერიუმების ფენა (გამჭოლი):** ეს არის ერთი ცვლილება, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს პროცესზე. მაღალი ნიშნების (მაქსიმალური ზღვრის მქონე ქულათა სიმრავლის) პრობლემა კურიკულუმის დიზაინით მარტივად გამოსწორებადია (ცალკე რუბრიკა თითოეული ცნებისთვის).
2. **შიდა ეტალონების გავრცელება:** საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საბაზო საფეხური, ქართული და მსოფლიო ლიტერატურა - ამ საგნებში არსებული მოდელები უკვე წარმატებით მუშაობს. მათი სხვა საგნებზე გავრცელება ბევრად უფრო სწრაფი და ეფექტური იქნება, ვიდრე ახალი სისტემის ნულიდან აგება.
3. **ფაქტობრივი კვალის გათანაბრება:** ჟურნალის წარმოების მინიმალური სტანდარტის შემოღება, რათა მომავალ წელს მონაცემთა ტრიანგულაცია სრულყოფილი იყოს.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სასკოლო დონის პირველად დიაგნოსტიკას - წარმოდგენილი მიგნებები არის ფორუმზე განსასჯელი ჰიპოთეზები და არა საბოლოო გადაწყვეტილებები. საგნობრივი, კიდევ უფრო სიღრმისეული ანალიზი ამ სურათს მას შემდეგ დააზუსტებს, რაც მომავალ სასწავლო წელს ცნებითი გააზრების პირდაპირი მონაცემების შეგროვება დაიწყება.